დანართი N1

ა(ა)იპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამების (პროფესიული მზადების) სპეციალობის მაძიებელთა/უმცროს ექიმთა სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის მოპოვება

1. საქართველოს მოქალაქეებისათვის თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის მოპოვების საფუძველია ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდების შედეგები.
2. უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
3. თსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის ჩარიცხვა ხორციელდება თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიულ მზადებაზე) ჩარიცხვის წესის შესაბამისად.
4. წინამდებარე წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევების შედეგად, თუ სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის შეწყვეტა მოხდა სწავლის დაწყებიდან არაუმეტეს 1 თვის ვადაში, სპეციალობლის მაძიებლის/მაძიებლების ჩარიცხვა გამონთავისუფლებულ ადგილზე/ადგილებზე განხორციელდეს დარჩენილი კონკურსანტებიდან სარეიტინგო ქულების მიხედვით, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე (პროფესიული მზადება) ჩარიცხვის წესის შესაბამისად, დარჩენილი კონკურსანტებიდან სარეიტინგო ქულების მიხედვით.
5. უმცროსი ექიმის რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) ხორციელდება საბჭოს მიერ აკრედიტებული და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული სამინისტროს მიერ დამტკიცებული სარეზიდენტო პროგრამების შესაბამისად.
6. უმცროსი ექიმის აკრედიტებულ სამედიცინო დაწესებულებაში/სასწავლებელში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) სწავლების წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს კანონდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2. თსუ-ში მობილობის წესით ჩარიცხვა

1. თსუ–ში სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მობილობის წესით ჩარიცხვა ხორციელდება "რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანებით დადგენილი წესით.

2. მობილობის წესით ჩარიცხვის უფლება აქვს სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს, რომელიც სწავლობს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ აკრედიტებულ დაწესებულება/სასწავლებელში ან იმ უცხო ქვეყნის სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს, რომლის პროგრამა და შედეგები აღიარებული იქნება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს მიერ.

3. მობილობა შესაძლებელია განხორციელდეს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ, თსუ–ის მიერ დარეგისტრირებულ და გამოქვეყნებულ ვაკანტურ ადგილებზე.

4. მობილობის უფლება სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამებზე აქვს არანაკლებ ერთი მოდულის გავლის შემდეგ.

5. მობილობის წესით სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის ჩარიცხვის შემთხვევაში მიმღები ფაკულტეტის დეკანისა და თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის წერილობითი მოტივირებული გადაწყვეტილებით დგინდება სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მიერ ათვისებული პროგრამისა და თსუ–ს პროგრამის თავსებადობა და აღიარება.

მუხლი 3. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის შეჩერება

1. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) ადმინისტრაციული ან აკადემიური რეგისტრაციის გაუვლელობა;

ბ) ავადმყოფობა, თუ დოკუმენტურად დასტურდება სასწავლო პროცესში სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მონაწილეობის შეუძლებლობა.

გ) უცხო ქვეყანაში, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა.

2. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის შეჩერების მაქსიმალური ვადა განისაზღვრება შესაბამისი სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ "რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვის და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა" საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის №135/ნ ბრძანების საფუძველზე.

3. სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სპეციალობის მაძიებელი/უმცროსი ექიმი სწავლას აგრძელებს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

მუხლი 4. სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტა

სპეციალობის მაძიებლის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
ა) პირადი განცხადება;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
გ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ განსაზღვრული ვადის გადამეტება;
დ) რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება პარალელურად საქართველოს სხვა უმაღლეს/სამედიცინო დაწესებულებაში.
ე) შესაბამისი პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობა ამ წესის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრულ ვადებში;
ვ) თსუ-ს ეთიკის კოდექსით, შინაგანაწესითა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებით გათვალისწინებული სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსთან შეუთავსებელი ქმედების განხორციელება, ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე;
ზ) გარდაცვალება.

მუხლი 5. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის აღდგენა

1. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გარიცხული სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის აღდგენის შემთხვევაში, სწავლის გაგრძელების დასაშვები ეტაპი განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ შედგენილი გეგმა-გრაფიკის მიხედვით, ფაკულტეტის მიერ ამორიცხვამდე ათვისებული პროგრამის აღიარების საფუძველზე.

მუხლი 6. თსუ სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის უფლება-მოვალეობები

1. სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს უფლება აქვს:
ა) მოითხოვოს შესაბამისი სამუშაო პირობებით (ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობები) უზრუნველყოფა: კვალიფიციური ხელმძღვანელი, თანამედროვე კლინიკური და საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, სამუშაო ოთახი;
ბ) მონაწილეობდეს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და შეფასებაში;
გ) მზადების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ აცნობოს თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის ხელმძღვანელობას.

2. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მოვალეობები:
ა) შეასრულოს რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღრული კურიკულუმი;

ბ) მის მიერ განხორციელებულ/შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის მიზნით აწარმოოს დღიური;
გ) ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგინოს გაწეული მუშაობის ანგარიში, გაიაროს ეტაპობრივი და შემაჯამებელი გამოცდა;
დ) დაიცვას თსუ-ის შინაგანაწესი და შეასრულოს უნივერსიტეტის განრიგით განსაზღვრული საქმიანობა;
ე) დაიცვას და შეასრულოს უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულების პირობები;
ვ) გადაიხადოს სწავლის სემესტრული საფასური ადმინისტრაციული რეგისტრაციისათვის დადგენილ ვადებში და გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია;
ზ) დაიცვას ეთიკისა და ქცევის საყოველთაოდ მიღებული ნორმები;
თ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის კუთვნილ ქონებას.

მუხლი 7. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია

1. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მიერ ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლა გულისხმობს სწავლის საფასურის სრულ ან ნაწილობრივ გადახდას თსუ–ში დადგენილი წესების დაცვით, წარმოადგენს აკადემიური რეგისტრაციის გავლის წინაპირობას და გამოხატავს სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მზაობას მონაწილეობა მიიღოს სასწავლო პროცესში, შესაბამის სემესტრულ შუალედურ და დასკვნით გამოცდებში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესიდან გამონაკლისი შესაძლოა დადგინდეს რექტორის ბრძანებით.
3. პროგრამის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს თსუ–ის რექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით დადგენილ ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადებში;
4. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს სასწავლო კურსებზე დარეგისტრირებას სასწავლო პროცესის მართვის სისტემის საშუალებით.
5. სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს უფლება აქვს ადმინისტრაციული რეგისტრაციის დაწყებიდან არაუმეტეს 2 კვირის ვადაში მოითხოვოს ადმინისტრაციული რეგისტრაციის გაუქმება. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი თანხის დაბრუნების, ან მისი მომდევნო სემესტრებში გამოყენების მოთხოვნის უფლებას.
6. სასწავლო კურსის შეცვლა ან გაუქმება დასაშვებია სასწავლო პროცესის დაწყებიდან 1 კვირის ვადაში.

მუხლი 8. დამატებითი პირობები და ვადები

1. ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდის შედეგები ძალაშია 3 წლის განმავლობაში. თუ სპეციალობის მაძიებელმა/უმცროსმა ექიმმა აღნიშნულ პერიოდში არ დაიწყო დიპლომისშემდგომი განათლება (პროფესიული მზადება) და არ გაიარა შესაბამისი რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის სულ მცირე 1 მოდული, გამოცდის შედეგები უქმდება და დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) დასაწყებად მან განმეორებით უნდა ჩააბაროს ერთიანი დიპლომისშემდგომი საკვალიფიკაციო გამოცდა.
2. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მიერ შესაბამისი სპეციალობის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის გავლის ხანგრძლივობა არ

უნდა იყოს შესაბამის სპეციალობაში სარეზიდენტო პროგრამის ხანგრძლივობაზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს მას 2-ჯერ. ვადის ათვლა იწყება უნივერსიტეტში პირველი მოდულის დაწყების დღიდან.
3. სპეციალობის მაძიებელმა/უმცროსმა ექიმმა რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი თითოეული მოდული უნდა გაიაროს არანაკლებ ამ მოდულის ხანგრძლივობით განსაზღვრულ ვადაში; შეუძლებელია 2 და მეტი მოდულის ერთდროულად გავლა.
4. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის ეტაპობრივი/საბოლოო უარყოფითი შეფასების შემთხვევაში, პროგრამის ხელმძღვანელმა, სპეციალობის მაძიებელთან/უმცროს ექიმთან შეთანხმებით, შეიძლება შეუდგინოს მას გეგმა-გრაფიკი და განუსაზღვროს მოდული/მოდულები, რომლებიც უნდა გაიაროს განმეორებით.
5. რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამა არ ჩაითვლება გავლილად, თუ განმეორებით რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის 2-ჯერ მეტ ვადაში სპეციალობის მაძიებელი/უმცროსი ექიმი ვეღარ ასწრებს პროგრამის შემადგენელი მოდულის/მოდულების გავლას ან რომელიმე მოდულში/მოდულებში მიიღებს უარყოფით შეფასებას.

მუხლი 9. საქართველოსა და უცხოეთში გავლილი მოდულების აღიარება

თსუ-ის სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის, აგრეთვე მობილობის ფარგლებში უნივერსიტეტში გადმოყვანის წესით ჩარიცხულთა მიერ საქართველოსა და უცხოეთში გავლილი მოდულების აღიარება ხდება მიმღები ფაკულტეტის დეკანისა და თსუ-ის რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ.

მუხლი 10. სწავლის საფასური

1. თსუ-ში რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომი საგანმანათლებლო პროგრამის საფასური განისაზღვრება სემესტრული გადასახადით შესაბამისი რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო წლის ხანგრძლივობიდან და ყოველთვიური (სტომატოლოგია - 550 ლარი; რადიოლოგია - 200 ლარი და მედიცინის სხვა ყველა სპეციალობა - 150 ლარი) გადასახადიდან გამომდინარე.
2. პროგრამის ვადის გასვლის შემდგომ მოდულის ხელმეორედ გავლის შემთხვევაში, საფასური განისაზღვრება მოდულის ხანგრძლივობის შესაბამისად;
3. იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შეღავათიანი ტარიფით გაფორმებული ხელშეკრულება, სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს პროგრამით გათვალისწინებულ ვადებში უნარჩუნდება ხელშეკრულებით დადგენილი საფასურის ოდენობა;
4. სტატუსშეჩერებული სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის აღდგენის შემთხვევაში სწავლის საფასური განისაზღვრება ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი ტარიფით.

მუხლი 11. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის მიღწევების შეფასება

1. უნივერსიტეტში სპეციალობის მაძიებლისათვის/უმცროსი ექიმისათვის შემუშავებულია შეფასების სისტემა, რომელიც მოიცავს მაძიებელთა ეტაპობრივ და საბოლოო შეფასებას და იძლევა ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და მიდგომების, ასევე, პრაქტიკული საქმიანობის შეფასების შესაძლებლობას.
2. სპეციალობის მაძიებლის/უმცროსი ექიმის შეფასება აისახება მის დღიურში.
3. სპეციალობის მაძიებელი/უმცროსი ექიმი ყოველი სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელს წარუდგენს გაწეული მუშაობის ანგარიშს.
4. სპეციალობის მაძიებელი/უმცროსი ექიმი ვალდებულია გაიაროს შუალედური, ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება. შუალედური შეფასება ხორციელდება ყოველი მოდულის დასასრულს მოდულის პასუხისმგებელ პირთან; ეტაპობრივი შეფასება - სასწავლო წლის ბოლოს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით, საბოლოო შეფასება პროგრამის დასრულების შემდეგ სახელმწიფო სასერტიფიკაციო ტესტების ბაზის გამოყენებით შესაბამის საექიმო სპეციალობაში. შეფასება 75%-დან - 100% ჩაითვლება დადებითად. სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს, რომელიც მიიღებს შეფასებას 50%-დან 75%-მდე მიეცემა გამოცდაზე ხელმეორედ გასვლის უფლება, ხოლო 50%-ზე დაბალი შეფასებისას განმეორებით გამოცდაზე დაშვებისათვის პროგრამის ხელმძღვანელი სპეციალობის მაძიებელთან/უმცროს ექიმთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომელიც დამატებით უნდა გაიაროს სპეციალობის მაძიებელმა/უმცროსმა ექიმმა, სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით და შესაბამისი ღირებულების გადახდით.
5. სპეციალობის მაძიებელი/უმცროსი ექიმი, რომელიც არ ეთანხმება ეტაპობრივ ან შემაჯამებელ გამოცდაზე მიღებულ უარყოფით შეფასებას, უფლებამოსილია ერთი სამუშაო დღის განმავლობაში დასაბუთებული საჩივრით მიმართოს ფაკულტეტის ხელმძღვანელობას და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა.
6. ფაკულტეტის ხელმძღვანელობა საჩივარს განიხილავს და გადაწყვეტილებას სპეციალურ სააპელაციო კომისიასთან ერთად იღებს 3 სამუშაო დღის განმავლობაში.
7. რეზიდენტურის ალტერანტიული დიპლომისშემდგომი (პროფესიული განათლების) პროგრამის (მოდულის) არასათანადოდ გავლის ან ტესტირებისას არადამაკმაყოფილებელი შეფასებისას პროგრამის ხელმძღვანელი სპეციალობის მაძიებელთან/უმცროს ექიმთან შეთანხმებით განსაზღვრავს მოდულის/მოდულების ნუსხას, რომელიც დამატებით უნდა გაიაროს სპეციალობის მაძიებელმა/უმცროსმა ექიმმა, სათანადო ხელშეკრულების გაფორმებით და შესაბამისი ღირებულების გადახდით. მოდულების დასრულებისას სპეციალობის მაძიებელი/უმცროსი ექიმი ვალდებულია განმეორებით გაიაროს შუალედური, ეტაპობრივი და საბოლოო შეფასება.
8. პროგრამით გათვალისწინებული მოდულების წარმატებით დასრულების შემდეგ და შემაჯამებელი გამოცდის ჩაბარების შემთხვევაში სპეციალობის მაძიებელს/უმცროს ექიმს ეძლევა დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლის დამადასტურებელი სახელმწიფო მოწმობა. მოწმობას გასცემს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭო.